საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

Minister of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030105294678719

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/644 **16 / იანვარი / 2019 წ.**

საქართველოს შრომის უსაფრთხოების,
ჯანმრთელობისა და
გარემოს დაცვის ასოციაციის პრეზიდენტს
ბატონ მამუკა ფირცხალავას
მისამართი: თბილისი, გორკის ქ. N11

გადაწყვეტილება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განხორციელების შესახებ

2018 წლის 24 დეკემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადებით მომართა „საქართველოს შრომის უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ასოციაციის" პრეზიდენტმა მამუკა ფირცხალავამ, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განხორციელების შესახებ.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი იქნა სარეგისტრაციოდ აუცილებელი დოკუმენტები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის: „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 31 ოქტომბრის №01-25/ნ ბრძანების მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიღებულია გადაწყვეტილება თქვენს მიერ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მინისტრი დავით სერგეენკო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

ელექტრონული დოკუმენტის მატერიალური ასლი
სახელი, გვარი: ნინო [illegible]
საქმისწარმოების სამმართველოს თანამშრომელი
თარიღი "17" 01 2019 წ.
ხელმოწერა